სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 ივლისი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს დადგენილება № 06-01/51

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრის დირექტორის 2024 წლის 03 ივლისის MES 4 24 0000800997 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე ყველა ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი წარიმართოს წინამდებარე დადგენილების **№1 დანართით** წარმოდგენილი ,,აკადემიური კალენდარის'' შესაბამისად.

2. წინამდებარე დადგენილის N1 დანართში ცვლილებების, აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების ცვლილების ან/და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების საჭიროების შემთხვევაში გამოიცეს რექტორის ბრძანება).

3. დადგენილება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე, ხოლო შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირება.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს (დეკანს, დეკანის ოფისს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს; დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს), რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარების და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, თარჯიმანს (ნანა მაზმიშვილს), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7 დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ''

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის №06-01/51 დადგენილების

დანართი №1

ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის
2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. ბსუ-ს „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2024-2025 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი (სალექციო/საუდიტორიო/კურაცია/პრაქტიკული სამუშაოები) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1 შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2024 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2025 წლის 01 თებერვალს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაიწყოს 2024 წლის 01 ოქტომბერს და დასრულდეს 2024 წლის 11 ოქტომბერს;

გ) საშობაო არდადეგები - 2024 წლის 31 დეკემბრიდან 2025 წლის 07 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2025 წლის 03 თებერვლიდან 2025 წლის 22 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2025 წლის 24 თებერვლიდან 2025 წლის 01 მარტის ჩათვლით.

1.2 გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს 2025 წლის 17 მარტს და დასრულდეს 2025 წლის 05 ივლისს;

ბ) სტუდენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაიწყოს 2025 წლის 04 მარტს და დასრულდეს 2025 წლის 14 მარტს;

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2025 წლის 07 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2025 წლის 28 ივლისიდან 2025 წლის 02 აგვისტოს ჩათვლით.